

ლელო

საბ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1970 წ.
№ 52 15 მარტი, კვირა.
(4046) 15 შანი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

ჩემი უბანი დაქვეყნებული

ბარსალო, 13 მარტი. მთლიანად მოთხოვნილი საკავშირო ჩემპიონატის პროგრამაში სწრაფდამგება ბოლო სახეობა იყო. ტრასის სიგრძე 3470 მეტრს უდრიდა და ზედ 33 საკონტროლო კარი იდგა. ეს მანძილი ყველაზე უკეთ დაფარა მოსკოველმა არძიელმა ა. გოლუბკოვმა — 2:53,0. მან პირველად მოიპოვა სსრ კავშირში უძლიერესი სახელი. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა, კიროვსკელმა გ. მელნიკოვმა ამჯერად II ადგილი დაიკავა — 2:54,21, III ადგილზეა მოსკოველი სტუდენტი ა. ტორმოსინი — 2:54,87.

სამაგიეროდ, მელნიკოვმა აჩვენა საშვილში საუკეთესო შედეგი. II ადგილზეა ტორმოსინი, III — მოსკოველი ტ. მონასტიროვი.


სწრაფდამგების ტრასა ქალებისთვის 2480-მეტრიანი იყო (28 კარი). აქ უძლიერესი აღმოჩნდა ლენინგრადელი სტუდენტი ი. ტურბინაიკი — 2:13,29. მანაც პირველად მოიპოვა ოქროს მედალი. მოსკოველი გ. სიდოროვა ტურბინაიკის წინააღმდეგობით ჩამორჩა. III ადგილზეა სვერდლოვსკელი გ. მალოზიმოვა — 2:19,94.

საშვილში გაიმარჯვა სიღორთოვმა. ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენ ქალებს ბედი არ სწყალობდა: ნ. მეტელევა, ნ. ხალხოვა, ს. ისაკოვა, გ. შიბოვა, ლ. ტინეკოვა ტრასის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო მოსახვევში წაიქცნენ.

გუნდურ ჩაბუნძოებაში I ადგილი დაიკავა რსფსრ-ს საბჭოთაოთინო-ლამურებმა.



△ **ღრუბანი.** გდრ-ის იუნორ მოცურავეთა შეჯიბრებაში 15 წლის ბარბარა ჰოფმაისტერმა 200 მეტრზე გულაშა ცურვაში 2:28,0 აჩვენა. ეს ქვეყნის ახალი რეკორდია, რომელიც ევროპულ რეკორდს მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩება.



საქმი საქმი

● **გიორვილი,** 13 მარტი. ნორვეგიის ამ ქალაქის დიდ ტრამპლინზე გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა“ საერთაშორისო შეჯიბრება. მთაფლიოს ორგზის ჩემპიონმა გ. ნაპალკოვმა (გორკი) წარუმატებლად იასპარეზა: პირველად 98,5 მეტრზე გადასტა, შემდეგ ცდასე ეს მაჩვენებელი 2 მეტრით გააუმჯობესა, საბოლოოდ 225,4 ქულა დააგროვა და მხოლოდ V ადგილი დასჯერდა. უსტადა ასეთივე ნახტომები ჰქონდა ტ. ნიუმერგს (ნორვეგია), მაგრამ სტილში მან უკეთესი შეფასება მიიღო, 228,1 ქულა მოახვეჭა და III ადგილზე გავიდა. გაიმარჯვა რ. პონლიმ (ჩეხოსლოვაკია) — 230,3 ქულა (ნახტომები — 101,5 და 104,5). II ადგილზეა გ. გონსენიკა (პოლონეთი) — 229,6 (ნახტომები — 100,5 და 101 მ).

● **ოზლო,** 13 მარტი. 15 კილომეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონი ლ.-ე. ასლუნდი (შვეცია) უხეიროდ გამოვიდა პოლონეთის 72-ე თამაშებში. „თავის“ დისტანციაზე იგი V ადგილზე აღმოჩნდა — 51:16,1. ყველას აჯობა მ. მიურმუ (ნორვეგია) — 50:46,9. II ადგილზეა პ. ტაიპალი (ფინეთი) — 50:59,4, III — ი. ჰალვარსონი (შვეცია) — 51:01,3. სამჭოთა სპორტსმენები გ. ვორნკოვი (51:38,0), ა. ჰენტივი (51:43,4) და ფ. სიმპოვი (51:51,8) შესაბამისად VIII, IX და X ადგილებზე არიან.

● **საქმი საქმი** საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ იგი უკვე სარეკორდოა: ასე ადრე მას სტარტი არასოდეს აუღია (ქველი „რეკორდი“ — 23 მარტი — ეკუთვნოდა 1958 წელს). ჩვენ განსაკუთრებული ინტერესით მოველოთ წლევანდელ სეზონს. მთავარი ამბები მოხდება მექსიკაში — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში, სადაც სსრ კავშირის ნაკრებს უძნელესი ბრძოლა მოელოს ოქროს ქალღმერთის პარიზისთვის, რა თქმა უნდა, სახიამოვნოა, რომ ნაკრების შემადგენლობაში გამოდის 5 ქართველი ფეხბურთელი. ჩვენი მწერა მიჰყვებილია თბილისის „დინამო“

სა“ და ქუთაისის „ტორპედოსევენ“, რომლებმაც თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ჩემპიონატსა და თავის გათამაშებაში. მოგვიანებით ბრძოლაში ჩაებმეიან „კლასის სხვა გუნდებიც — თბილისის „ლოკომოტივი“, ბათუმის „დინამო“ და გორის „დილა“. მათს წინაშეც სერიოზული ამოცანები დგას. ვუსურვოთ ჩვენს ფეხბურთელებს ახალი, დიდი წარმატებები 1970 წლის საინტერესო, დაძაბულ სეზონში.



(შეზაპრთის სპორტის დასაწყისისადმი: მიმდინილი მასალიბი იხ. შიდა გვ.)

● **პარაღა,** 14 მარტი. როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, ჩეხოსლოვაკიური სპორტული თვითმფრინავი „სლინ-ტრენერ-528“ დღემდე არსებულ ყველა სერიულ „აერობატ-თვითმფრინავს“ აჯობებს. ახალ მანქანას, რომელსაც წლეულს გაეცნობიან საერთაშორისო ავიასალონების დამთვალიერებლები, აქვს 200 ცენტის ძალის სიმძლავრის ძრავა და 6800-მეტრიანი „ჭერი“, სადაც საათში 225 კმ-ს აწვითარებს. მაგრამ ახალი თვითმფრინავის განსაკუთრებული თავისებურებაა უჩვეულოდ მაღალი აეროდინამიკური და საფრენის თვისებები. იგი უმაღლესი პილოტაჟისთვისაა დაბადებული.

● **თბილისი,** 14 მარტი. „მეგობრობის თასზე“ აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ირანის ახალგაზრდულ ნაკრებთან ფრედ (0:0) დამთავრებული თამაშის შემდეგ ცსკა-მ

ანგარიშით 1:0 დაამარცხა რუმინეთის ქალაქ კრაიოვის ფეხბურთელთა გუნდი.

● **ალმა-ათა,** 14 მარტი. ალმათაუს მთიანეთის ექვსი მწვერვალი, მათ შორის, კომკავშირისა (4376 მ) და მაიაკოვსკის (4250 მ) პიკები დაინებდნენ ყაზახეთის მთამსვლელობის ვეტერანს ა. ვლასოვს. მერე რა მოხდაო? — შესაძლოა იკითხოს მკითხველმა. საქმე ის არის, რომ ყოველივე ეს შარშანდელ სეზონში მოხდა, როცა ვლასოვს 60 წელი შეუსრულდა. მან ამ ცოტა ხნის წინათაც დალაშქრა მორიგი მწვერვალი — ზამთრის გუსპედიციაში იყო.



● **ქობაგის ასეთი უნდა!** სკორტს რომ გულშემატკივრები არ ჰყავდეს, სპორტის სასახლეები-სა და სტადიონების ტრიბუნები ალბათ საჭირო არ იქნებოდა... მართალია, გულშემატკივრობა პროფესია არ არის, მაგრამ შენი სათაყვანებელი გუნდისა თუ სპორტსმენებს ქობაგობა მაინც დიდ კმაყოფილებას განიჭებს კაცს. ამიტომ იყო, რომ კალთბურთელთა ამასწინანდელი საკავშირო პირველობის თბილისის ტურს სპორტის სასახლეში ამ თამაშის ათასობით მოყვარული დაესწრო.

ფოტოკორესპონდენტმა ა. სააკოვმა ამ რამდენიმე ათასი გულშემატკივრიდან ნანა ალექსანდრია ამოირჩია და მას „ჩაუსაფრდა“. ჰალვარსონის თამაშის დროს სახელგანთი ოსტატი ნილბავს განცდებს, აუღელვებლად უტირავს თავი. მაგრამ სინამდვილეში ნანა სრულიადაც არ ყოფილა ასე აუღელვებელი. ამას აქ მოტანილი სურათები მოწმობს.

ამ სურათებზე აღბეჭდილი განცდების მიხედვით ადვილად შეიძლება ამოვიკითხოთ, როგორ შეიქმნა და დამთავრდა თბილისელ კალათბურთელთა ერთ-ერთი შეზვედრის ერთ-ერთი კრიტიკული მომენტი, რომელმაც ნანას ყურადღება მიიქცია.


სინამდვილეში ჩერ სინარულში, ზოლო მერე აღტაცებაში გადაიზარდა. ნანას სახეს ღმილი მოეფინა: ეპიზოდი ჩვენების წარმატებით დაკვირვინდა.

ასე ხარობენ ქვეშაბიტი გულშემატკივრები, თვით ნანაც ასე ახარებს თავის ქობაგებს!



თ. გიორგაძე.

ფეხბურთის სიჭაბუკა



რაზე მმტყ

მე გავცანი სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი მონაწილე ყველა 17 გუნდის საგანაცხადო სიებს. თუ ყურადღებით დააკვირდებით ამ საკლუბო გუნდების შემადგენლობებს, აუცილებლად შეამჩნევთ ბევრ უცნობ ან ნაკლებად ცნობილ გვარს. თაობათა ცვლამ, რომელიც ამ ორიოდ წლის წინ დაიწყო ზოგიერთ კლუბში, ახლა მთელი საბჭოთა ფეხბურთი მოიცვა.

მაგრამ განახლების ეს პროცესი მხოლოდ ასაკობრივი ცვლილებებით როდი ხასიათდება, ვინაიდან გუნდებში მოვიდნენ ომის შემდგომ პერიოდში დაბადებული ბიჭები. ეს ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ როგორც სპორტული, ისე საერთო განვითარების მხრივ. მათ უმაღლესი ლიგის გუნდებში გამოჩენისთანავე მიიქცვიან საერთო ყურადღებას ლამაზი, კომბინაციური თამაშით, რომელიც ისინი იყო დაიწყებულ ეტაპზე.

ერთ დროს (თუმცა დიდხანს არა) საბჭოთა ფეხბურთი დაგადებული იყო დაცვათი ტაქტიკის მიჯობით, რომელიც ჩვენს მიმდევრებზე შემოვიდა ლომობრძიდან და ტიბრის ნაპირებიდან. საბედნიეროდ, ბიჭებმა ვერ მოახერხეს ამ კრიზისის „ათვისება“ და რეტორიკულ რეაქციებს „შორიდან უტყვარდნენ. მათი სინდისი აჯანყდა თამაშის ამგვარი დამახინჯების წინააღმდეგ. მათ მოსწონდათ შეხსნისა და მეტრეველის, ივანოვისა და სტრელცოვის, შესტერნიოვისა და ვორონინის მაღალი ოსტატობა; ამ ფეხბურთელებმა მოახერხეს ენახოთ თვით პეღლეს, გარინას, ალბერტის, ეუსებოის, ჩარლტონის თამაში და სწორედ ეს ლიდერტაქტიკა განაღწიდა მათი დაუსწრებელი მასწავლებლები.

ეს იყო ნაყოფიერი თესვა, რომელიც თავის დროზე ჩაიყარა საბჭოთა ფეხბურთის ნოყიერ ნიადაგში, ახლა კი პირველი აღმონცენი მივიღეთ. ახალბედლათა თამაში ჩანს არა მარტო სიბავუკის დაუოკებელი სითამაშე, არამედ სიმწიფის ცხადი ნიშნებიც.

ახალგაზრდებმა კლუბებში მოიტანეს თამაშის თანამედროვე გაგება. ათასგვარად ცდილობდა ზოგიერთი „ახლომხედველი“ მწვრთნელი მოერგო მათთვის იტალიური გუნდების უკანასკნელი ნიმუშის მიხედვით შეკერილი მოდური ტაქტიკური ტანსაცმელი, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ იმიტომ, რომ ეს ტანსაცმელი ვიწრო იყო ახალგაზრდებისთვის და ადვილადაც იბეზდა.

საერთაშორისო და საბჭოთა ფეხბურთში გრძელდება ორი მიმართულების ბრძოლა. მათგან ერთი — რეგრესული — ქადაგებს პრინციპს, რომლის დედასწრს წარმოადგენს „მთავარია — არ გაუშვა“, ხოლო მეორე პროგრესულია (მას ეყრდნობიან ახალგაზრდები) და დევიზად აქვს „მთავარია — გაიტანო“.

აი, ასე მიმდინარეობდა უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი, ეს ბრძოლა, სადაც ბოლო დროს ჩანს ახალგაზრდა თაობის წარმატების ნიშნები. იგი შეუღლა საბჭოთა

ტალანტების მძლავრი გაფორჩხვნა

ფეხბურთისთვის უცხო სტილის მსხვერპლს, რომელსაც მოსწრებულად უწოდებს ანტიფეხბურთი, ის მწვრთნელები, რომლებმაც ამაში თანამედროვეობის ძანილი პპოვეს, გაშლილი ხელებით შეხედნენ ახალგაზრდა სპორტსმენებს და შესაძლებლობა მისცეს მათ გაეფურჩქნათ თავიანთი ნიჭი და მონაცემები. სწორედ ამიტომ განვლდ სეზონში ყველაზე მრავლად ვიხილეთ შესანიშნავი ტალანტები, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ უახლოეს ხანებში საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავებად იქცნენ და რომლებიც უკვე ახლა ცვლიან მის ხახვს.

ისინი გამოჩნდნენ ყველაგან — მოსკოვის, ლენინგრადის გუნდებში, უკრაინაში, ამიერკავკასიაში, შუა აზიაში.

და თუ საჭიროა საფეხბურთო ტალანტების მძლავრი გაფორჩქვნის დამაჭრებელი მაგალითის მოყვანა, უნდა გავისვენოთ მოსკოვის „სპარტაკი“. ამ კლუბის მთავარმა მწვრთნელმა მეტი ძირითად შემადგენლობაში გამოჩინდა ერთობლივი წლის წინ, მაგრამ უკვე დაიკავა ანსამბლში მტკიცე პოზიციები და ახლა შეეცდება არ დათმოს იგი. სსრ კავშირის ჩემპიონთა ოქროს მედლები ჯილდო იყო ამ ფეხბურთელთა გულმოდგინების, სწავრთნელ მეცადინეობათა მიმართ კეთილშინდისიერი დამოკიდებულების, კომბინაციური თამაშის საყვარელი ფორმების ერთგული სამსახურისთვის.

ახალგაზრდა ფეხბურთელები ადვილად ითვისებენ თამაშის ახალ სქემებს, ახალ ტაქტიკურ თვისებებს და, რა თქმა უნდა, შეუძლიათ შეინარჩუნონ ფიზიკური მომზადების დონე. სასიამოვნოა ისიც, რომ მათ ნაკლებად სჭირდებათ სპორტული მომზადების დონე.

ლიათ შეინარჩუნონ ფიზიკური მომზადების დონე. სასიამოვნოა ისიც, რომ მათ ნაკლებად სჭირდებათ სპორტული მომზადების დონე. სასიამოვნოა ისიც, რომ მათ ნაკლებად სჭირდებათ სპორტული მომზადების დონე.

საბჭოთა ფეხბურთის გაახალგაზრდაება შეეხო თითქმის ყველა კლუბს, ე. ი. მას არ შეეძლო გვერდი აეღო სსრ კავშირის ნაკრებში გუნდისთვისაც, რომელმაც წარმატებით ჩაატარა შესარჩევი ტურნირის მატჩები და უფლებმა მიიღო თამაშის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შექცევაში.

ერთგულნი ნაკრების უფროს მწვრთნელს გ. კაჩალინს, რომელიც ცნობილია თავისი სიმართლით შემტევი, კომბინაციური ფეხბურთის მიმართ, ყველაზე უფრო უხაროდა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების გამოჩენა, რომლებიც ახალ მიმართულებას აძლევდნენ საბჭოთა ფეხბურთს.

ძველი გუნდიდან ნაკრებში დარჩნენ მხოლოდ მეტარე კავაზაშვილი და რამდენიმე მცველი, მათ შორის, შესტერნიოვი და ხურცილავა. დანარჩენებს მანამდე არასოდეს უთამაშიათ ნაკრებში. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა ზოგიერთ შემთხვევაში ითამაშა თანამედროვე ფეხბურთი თამაშა და თავი გაავსნო კოლექტივად, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ, ვინც შექცევაში ხათამაშოვდებოდა.

სსრ კავშირის ნაკრები მუდამ გამოირჩეოდა ძლიერი დაცვით. მე იგი მინახავს სამ მსოფლიო ჩემპიონატში — შვეიცარიაში, ჩილიში და ინგლისში. საბჭოთა გუნდის დაცვა სპეციალისტთა და მამოხილველთა მიერ მუდამ პირველხარისხოვნად იყო აღიარებული, მაგრამ ახლა, როცა გუნდის ძირითადი ძრავა მინდვრის შუაგულში მოქმედებს, პირველ პლანზე წამოიწიეს ნახევარმცველებმა. სსრ კავშირის ახლანდელ ნაკრებში შუა ხაზი ყველაზე ძლიერად ჩანს და შემთხვევითი არაა, რომ იგი მთლიანად ახალგაზრდა მოთამაშეთაგან შედგება. მე ვგულისხმობ კიველ მუნტანს, თბილისელ ასათიანს, მოსკოველებს კისელთოვსა და პაპაევს. ყველა ისინი თამაშობენ კომბინაციურად, გამუდმებით იჭირობენ მოწინააღმდეგის კარის აღებაზე და, თავიანთი „შუა პოზიციის“ მიუხედავად, ხიფათს უქმნიან მეკარეებს.

გ. კაჩალინმა თავისი მოთამაშეები სულ ახლახან შემოწმდა მათთვის უცხო მეტოქეებთან. ამასთან, ეს შემოწმება ნდებოდა მაღალმთიან პირობებში, კერძოდ, მეხიკოშიც, სადაც სსრ კავშირის ნაკრებს უწევს მსოფლიო ჩემპიონატის გახსნა მასპინძლებთან — მექსიკელ ფეხბურთელებთან.

გ. მერსანოვი.

სტატისტიკა ახლა დიდ პატივშია. ადრე თვალდებნი მხოლოდ ქულებს, საპირისპირო ადგილებს, ყურადღებას აქცევდნენ მარტო დიდი მნიშვნელობის მოვლენებს. ახლა სტატისტიკოსებს შედეგობრივად არ გამოუპარება ერთი შეხვედრით თითქმის შეუმჩნეველი წვრილმანებიც კი. ვინ, სად, როდის, რა, რამდენი? — ამგვარ კითხვებზე ყოველთვის მზადაა პასუხი.

ყოველ სეზონს, ყოველ ჩემპიონატს აქვს თავისი ფაფორიტები, თავისი პრივილეგიები და გათამაშების ბოლო მატჩის შემდეგ ყველამ შესტად იცის, ვის რა ადგილი ეკუთვნის სეზონის იერარქიულ კიბეზე, ვინ ვის გაუსწრო და რამდენით.

ეს, ასე ვთქვათ, ერთგვარად ამბავია, მაგრამ განა საინტერესო არ იქნება განვიხილოთ გუნდების მარჯვენელები სსრ კავშირის პირველი საკლუბო ჩემპიონატის მოყოლებული დღემდე? თუ იმ გუნდს მოუტანოს წარმატება და წარუმატებლობაც, მაგრამ თუ დაფაქტობით ყველა 31 განვლილი ჩემპიონატის შედეგებს შევხედვით ნათელი სურათი, თუ ვის რა წვლილი აქვს შეტანილი საბჭოთა ფეხბურთის განვითარებაში, ან რა ადგილი ეკუთვნის საერთოდ, საბოლოო ჯამში.

სტატისტიკოსები ამოსავალ წერტილად იღებენ ქულათა გამოთვლის კლასიკურ ოლიმპიურ სისტემას, რომელიც არც რთულია და, ამავ დროს, სკამაოდ ობიექტურიცაა. ჩემპიონატში გამარჯვებულ გუნდს ეწერება 7 ქულა, II ადგილზე გასული — 5, III — 4, IV — 3, V — 2 და VI — 1 ქულა. თუ ამ სისტემას გამოვიყენებთ, ყოველი წლის შედეგებს ცალ-ცალკე ვინაგარიშებთ და შემდეგ დაჯამებთ, მივიღებთ საინტერესო სურათს.

სსრ კავშირის ყოველი ჩემპიონატის ქულათა ჯამი უდრის 22-ს (7+5+4+3+2+1), ე. ი. სულ 31 ჩემპიონატში გათამაშებულია 682 ქულა. მათი დიდი ნაწილი — 345 მოდის მოსკოვის ცნობილ გუნდებზე — „დინამოზე“, „სპარტაკზე“ და ცსკა-ზე.

სულ ჩვენს ფეხბურთში ქულათა მცემი (I-VI) ადგილების მფლობელი იყო 23 გუნდი. მათგან მოსკოვის თბილისის, კიევის, მინსკის დინამოელები, მოსკოვისა და როსტოვის მილელები, მოსკოვის „სპარტაკი“, „ტორპედო“, დონეცკის „შახტორი“ ბაქოს „ნეფთჩი“, ლენინგრადის „ნიჭი“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“ გამოდიან უმაღლეს ჯგუფში, ხოლო ლენინგრადის „დინამო“, ვოლოგდის „ტრაქტორმა“, კიშინიოვის „ლოდოვამ“, სარკოვის „ავანგარდის“ მოსკოვის „ლოკომოტივმა“ და კიევის „ვივის“ კრილია სეკუნდომა „გადანის“ ცელს მეორე ეშელონში. 5 გუნდი ერთოდ აღარ არსებობს (მოსკოვის „მეტალურგი“, ვეს, ლენინგრადის „კრასნაია ზარია“ და „შრომითი სურვები“ და კალინინის არმიული გუნდი).

ამ 23 გუნდის საბოლოო, ნაერ სია ყველა განვილი 31 ჩემპიონატის დაგროვილი ქულების მიხედვით ასეთი იქნება:

1. „დინამო“ (მოსკოვი) 184
2. „სპარტაკი“ (მოსკოვი) 158
3. ცსკა 110
4. „დინამო“ (თბილისი) 104
5. „დინამო“ (კიევი) 104
6. „ტორპედო“ (მოსკოვი) 104
7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 104
8. ახს (როსტოვი) 104
9. „დინამო“ (მინსკი) 104
10. „ზენიტი“ (ლენინგრადი) 104
11. „დინამო“ (ლენინგრადი) 104
12. „შახტორი“ (დონეცკი) 104
13. „მეტალურგი“ (მოსკოვი) 104
14. „ნიჭი“ (ბაქო) 104
15. ახს 104
16. „შრ. რაზარევი“ (ლენინგრადი) 104
17. „ტრაქტორი“ (ვოლოგო) 104
18. „პრ. სპარტაკი“ (კიევი) 104
19. „პრ. ზარია“ (ლენინგრადი) 104
20. „გოლდმედი“ (კიშინიოვი) 104
21. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 104
22. „მეტალურგი“ (სარკოვი) 104
23. პალინინის გუნდი 104

ჩვენი მსახარი — უმაღლესი ახალის კარიბრევი

1. ბაშანიძე ბ. (თბილისი), საქავშირო კატეგორია.
2. ბოშორაძე ი. (თბილისი), საქავშირო კატეგორია.
3. თოდუაძე ზ. (ქუთაისი), საქავშირო კატეგორია.
4. მილჩინაძე ბ. (სოხუმი), საქავშირო კატეგორია.
5. შარვაშიძე ბ. (თბილისი), საქავშირო და საერთაშორისო კატეგორია.
6. მერსანოვი.

306
გამოვა
მინდორზე

სამანახლო სიები
„კ“ კლასის
უმაღლესი ახალის



საქართველოს გუნდების აღმნიშვნის საკავშირო		ჩემპიონატების	
„დინამო“ (თბილისი)	1936 წ. (შემოდგ.)	III	1967 „
1937 „	IV	1968 „	VII
1938 „	VI	1969 „	III
1939 „	II	1951 „	III
1940 „	II	1952 „	VIII
1945 „	IV	1953 „	VII
1946 „	III	1954 „	VII
1947 „	III	1955 „	III
1948 „	IV	1956 „	V
1949 „	VI	1957 „	I
1950 „	III	1958 „	VI
			VII

მეგობან ციფრები

ასეთი გუნდების მდგომარეობა სსრ კავშირის ყველა ჩემპიონატის შეჯამებაში, თბილისის „დინამოს“ უკავია IV ადგილი.

1. „დინამო“ (მოსკოვი)	66
2. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	60
3. „დინამო“ (კიევი)	54
4. „ტორპედო“ (მოსკოვი)	48
5. „დინამო“ (თბილისი)	26
6. სსპ (როსტოვი)	17
7. ცსკა	16
8. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	16
9. „დინამო“ (მინსკი)	15
10. „ნავთრო“ (ბაქო)	6
11. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	4
12. „შახტიორი“ (დონეცკი)	3
13. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)	1
14. „სპარტაკი“ (ტაშკენტი)	1
15. „დინამო“ (ბარსელი)	1
16. „სპარტაკი“ (ბარსელი)	1

7. სსპ (როსტოვი)	17
8. „დინამო“ (მინსკი)	11
9. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	9
10. „ნავთრო“ (ბაქო)	6
11. „შახტიორი“ (დონეცკი)	3
12. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	1
13. „სპარტაკი“ (ტაშკენტი)	1
14. „სპარტაკი“ (ბარსელი)	1

7. „დინამო“ (თბილისი)	16
8. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	14
9. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	11
10. „სპარტაკი“ (კუბან)	8
11. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)	5
12. „სპარტაკი“ (ერევანი)	4
13. „დინამო“ (მინსკი)	4
14. „ელმასტიკი“ (ლენინგრადი)	4
15. სსპ (როსტოვი)	3
16. „სპარტაკი“ (ტაშკენტი)	3
17. „ზენიტი ტრუბა“ (ორეხ)	3
18. პალინიის გუნდი	3
19. „დინამო“ (ლენინგრადი)	3
20. „ნავთრო“ (ბაქო)	2

როგორც ხედავთ, მოსკოვის „დინამო“ და „სპარტაკი“ შეინარჩუნეს წინა პოზიციები, ცსკა 5 ადგილით ჩამოქვეითდა, ხოლო კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ გადავიდნენ თბილისის „დინამო“-ს ქვეშევრდები.

1. „დინამო“ (კიევი)	46
2. „დინამო“ (მოსკოვი)	35
3. „ტორპედო“ (მოსკოვი)	33
4. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	32
5. „დინამო“ (თბილისი)	26
6. ცსკა	21

1. „დინამო“ (კიევი)	32
2. „ტორპედო“ (მოსკოვი)	19
3. „დინამო“ (თბილისი)	16
4. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	15
5. ცსკა	14
6. „დინამო“ (მოსკოვი)	12
7. სსპ (როსტოვი)	8
8. „დინამო“ (მინსკი)	7
9. „ნავთრო“ (ბაქო)	6
10. „შახტიორი“ (დონეცკი)	3

მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებმა შეიმოკვინეს სხვაგვარად დასვან საკითხი და ისინი საყვარელი მართალი იქნებიან: ამა თუ იმ გუნდის ადგილს, მის ღირსებას საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში მართლ ჩემპიონატი ხომ არ განსაზღვრავს? თუ გამოთვალა, თასის შედეგებიც უნდა გავითვალისწინოთ.

კეთილი, გამოვლათ. აქ ადრე გამოყენებული სისტემა არ გამოგადგება. ვინც უმჯობესეს იმ წესით, რომელიც უცხოეთის ბევრ ქვეყანაში სწავრება: თასის მფლობელს ეწერება 5 ქულა, ფინალისტს — 3, ნახევარფინალისტებს — თითო.

სულ სსრ კავშირის თასის 28 გათამაშებაში ქულები მიღებული აქვს 32 გუნდს:

1. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	53
2. „ტორპედო“ (მოსკოვი)	35
3. ცსკა	32
4. „დინამო“ (მოსკოვი)	32
5. „შახტიორი“ (დონეცკი)	17
6. „დინამო“ (კიევი)	16

ნახევარფინალში თამაშისთვის თითო ქულა აქვთ: „ალმირალტეის“ (ლენინგრადი), ვეს-ს, „დინამოს“ (ტაშკენტი), „ყაირათს“ (ალმა-ათა), „კრასნოე ზნამიას“ (ნოვიცი), „მეტალურგს“ (დნეპროპეტროვსკი), ასკ-ს (კიევი), ასკ-ს (ოდესა), „სოკოლს“ (სარატოვი), „სუდსტროიტელს“ (ნიკოლაევი), „ტრაქტორს“ (ვოლოგრადი) და „ჩერნომორცს“ (ოდესა).

1. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	173
2. „დინამო“ (მოსკოვი)	169
3. ცსკა	128
4. „ტორპედო“ (მოსკოვი)	96
5. „დინამო“ (თბილისი)	92
6. „დინამო“ (კიევი)	91
7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	44
8. „შახტიორი“ (დონეცკი)	23
9. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	22
10. სსპ (როსტოვი)	20

აქ სადავოა მხოლოდ მოსკოვის „ლოკომოტივის“ საკითხი, რომელიც უძლიერესა ათეულში მოხვედრილი და დღესდღეობით კი არც იმყოფება უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ამ გუნდის მიღწევები და სიმდიერე წარსულ წლებში საყოველთაოდ ცნობილია: რაც შეეხება თბილისის დინამოელებს, ისინი ყველა ვარაუდში საბჭოთა ფეხბურთის ლიდერთა შორის არიან.



სსრ კავშირის XXXII ჩემპიონატის პირველი მატჩი (ცსკა — „შახტიორი“) შედგა 8 მარტს ბაქოში. აქ გატანილი იქნა ჩემპიონატის პირველი გოლი, რომლის ავტორი იყო არმიელთა ახალგაზრდა ფორვარდი ბ. კოპეიანი (გამარჯვა ცსკა-მ — 2:0).

სტატისტიკის ენით

დღეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქვეყნო ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“. 1964 წლის შემდეგ, როცა თბილისელებმა ტაშკენტის დამატებით მატჩში სძლიეს „ტორპედოს“ და მოიპოვეს ჩემპიონის წოდება, მათ შინ ვერც ერთხელ ვერ შეძლეს „ტორპედოს“ დამარცხება. 5 მატჩიდან 4 დამარცხდა ფრედ, ხოლო ერთხელ გაიმარჯვეს ტორპედოელებმა — 1:0.

თუ თბილისელებმა პროცენტულად იმდენივე ქულა დააგროვეს, რამდენიც შარშან (68,8), ისინი გათამაშების ბოლოს მიიღებენ მე-1000 ქულას.

საერთოდა კი, ბოლო 10 წლის მანძილზე ტორპედოელებმა საქვეყნო ჩემპიონატების მატჩებში მხოლოდ ოთხჯერ მოუგეს თბილისის „დინამოს“ და ოთხჯერვე მინიმალური ანგარიშით — 1:0.

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს“ სათავეში ჩაუდგა სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჩოხელი, გუნდმა დაუმარცხებლად ჩაატარა 81 საკონტროლო, სერიაშორისი და ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. ასე გაგრძელდა 222 დღეს შემდეგ, 22 მაისს, დინამოელებმა, 2 გატანილი გოლის მიუხედავად, მარცხის სიმწარე იწვნის ოდესში, ადგილობრივ „ჩერნომორცთან“. ასე უიღბლო აღმოჩნდა გუნდისთვის ციფრი 2.

მოსკოვის „ტორპედოს“ კარში თბილისელებს სულ გატანილი აქვთ 102 ბურთი. თავისებური საიუბილეო, მე-100 გოლი 1963 წლის პირველი წლის მატჩში გაიტანა ს. მეტრეველმა ლუენციის სტადიონზე.

გ. ბადაშვილი, საქართველოს სასოლო-სამეურნეო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.

თბილისი

დამსახურებული ოსტატი გ. ჩოხელი და მისი მოწინააღმდეგეები. 1964 წელს დაბრუნებული ოსტატი ნ. ძიკაშვილი. სპორტის ოსტატი, 1968 წელს დაბრუნებული ოსტატი ნ. ძიკაშვილი. სპორტის ოსტატი, 1968 წელს დაბრუნებული ოსტატი ნ. ძიკაშვილი. სპორტის ოსტატი, 1968 წელს დაბრუნებული ოსტატი ნ. ძიკაშვილი.

„ტორპედო“ (ქუთაისი)

გუნდის უფროსი — ვ. ხელია. უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ა. კობრაძე. მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ი. გრამატიკაშვილი. მესამე მწვრთნელი — გ. გოგია 1948, თ. გრემელიშვილი (ს. თ.) 1946. მესამე მწვრთნელი — გ. ახიანიძე 1948, ა. წვერავა (ს. თ.) 1945, ი. ჩხიანიძე (ს. თ.) 1946, მ. შერგელაშვილი (ს. თ.) 1947, ზ. ებრაძე (ს. თ.) 1948, რ. სანია 1948, გ. კოსტავა 1951, ტ. ბოჭუჩავა 1949, გ. გოგიშვილი 1947, ვ. გუბელიძე 1951, ი. რეხვამე 1951, მ. ქუთათელიძე 1952. ნახევარმწვრთნელები — ა. ანდოიძე 1945, მ. ასიბაშვილი (ს. თ.) 1947, ა. ერქომაიშვილი (ს. თ.) 1945, შ. ოქროპირაშვილი 1950, ზ. დარჯანია 1950. თავდასხმელები — ჯ. ხერხეიძე (ს. თ.) 1945, დ. ვეკუა (ს. თ.) 1948, გ. ქიქავა 1947, რ. ნაჭყებია 1948, ს. ქორიძე 1949, ბ. მესხაძე 1950, გ. დედია 1949, რ. ჯავახიძე 1952, დ. ქვირიანი 1952.

დიდი მადლობა

„შედეგმა თუ არა მატჩი?“ — ეს შეკითხვა გაისმოდა ტელეფონში, როცა უფროსი იღებდნენ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, „ლიტლს“ რედაქციაში.

ფეხბურთის მოყვარულთა შემოერთება არ იყო საფუძველს მოკლებული. თბილისის მოულოდნელად თავს დაატყდა „სტატისტიკის უბედურება“: სადაც, რომელიმე თვლიან არტიკულ ცილონს გზა აერია და საუბრით არ იყო საჭირო, ისე შემოუხვია ჩვენსკენ, რის შემდეგ კვალად დატოვა სქელი თეთრი საბურველის სახით. საჭირო იყო თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის სათამაშო მიწის წესრიგში მოყვანა, თოვლის აღება 8.000 კვ მეტრზე მეტ ტერიტორიიდან.

ეს ძნელი საქმე ითავს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და მუშა-მოსამსახურეებმა. 80-კაციანი კოლექტივი მოედო ფეხბურთის მიწის და მოამზადა იგი დღევანდელი ასპარეზობისთვის. სტუდენტებმა არ დაიშურეს ღონე, მათ არ ჩამორჩნენ უფროსებიც, რომელთაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ს. შულრა, კ. მესხი, ა. გუკასია, ა. ელიერაშვილი, ო. ჭარხალიაშვილი, თ. კარსემაშვილი, გ. ძაგანია და სხვანი.

ფეხბურთის მოყვარულთა დიდი მადლობა მათ, ვინც ასეთი ენთუზიაზმი გამოიჩინა ამ დღეს. სურათზე: ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი „ლოკომოტივის“ სტადიონზე მუშაობის დროს. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ცვლილებები უმაღლეს ლიგაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ რამდენიმე მოთამაშეს „ა“ კლასის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის ნება დართო. ვ. ლიბიკი დნეპროპეტროვსკის „დნეპრიდან“ გადავიდა კიევის „დინამოში“, ს. როგოვი მოსკოვის „სპარტაკიდან“ — „ყაირათში“, ვ. შტეფი მოსკოვის „ტორპედოდან“ — „ნეფთში“, ვ. სოლდატოვი ვორონეჟის „ტრუდიდან“ — „ყაირათში“, ვ. ლეგენტი ვინიცის „ლოკომოტივიდან“ — კიევის „დინამოში“, ა. ფეტისოვი კუიბისევის „კრილია სოვეტოვიდან“ — როსტოვის ასკ-ში. სპორტტექნიკურმა კომისიამ განიხილა აშურაჯანის ფეხბურთის ფედერაციისა და მაქოს „ნეფთის“ შუამდგომლობა ამ გუნდის ყოფილი მოთამაშის ა. მანიშვესკისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის თაობაზე. კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია სთხოვოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა და ფეხბურთის სამმართველოს შეიკავროს ა. მანიშვესკის დისკვალიფიკაცია პირობითად და მიეცეს თამაშის უფლება.

